ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2658716

ნომერი: AR1409053

თარიღი : 30.05.2016

გაცემის თარიღი : 23.06.2016

გაცნობის თარიღი : 23.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა IV , N 3 , (ნაკვ. 4/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/03/2016 წლის №2447356 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 30/05/2016 წლის №AR1409053 განაცხადით მომართა დავით ლოსაბერიძემ და ამავე სამსახურის 15/03/2016 წლის

№2447356 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 15/03/2016 წლის №2447356 ბრძანებით ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა IV, N3, (ნაკვ. 4/25), საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.19.36.004.025) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 15/03/2016 წლის №2447356 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობი არასწორადაა დაფიქსირებული, რადგან საზაფხულო ფართობში არ იქნა გათვალისწინებული +42.90 ნიშნულის საპროექტო გეგმაზე არსებული ორი ტერასის ფართობი, ასევე არასწორია საცხოვრებელი ფართობიც. შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება იწვევს საერთო ფართობის მაჩვენებლის ცვლილებასაც.

წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და №2447356 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3299,01; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 640,43; საერთო ფართობი (კვ.მ).: 5164,7;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/03/2016 წლის №2447356 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3299,01; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:640,43; საერთო ფართობი (კვ.მ).:5164,7; სამსახურის 15/03/2016 წლის №2447356 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/03/2016 წლის №2447356 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.